ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის

სხდომის ოქმი № 15

22 მარტი 2018 წ ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი # 2

12:00 სთ

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო-საქალაქო სამსახურის უფროსი- გაიოზ თალაკვაძე

სსიპ ქონების მართვის სააგენროს უფროსის მოადგილე- თამარ მათიაშვილი

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2.კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, დავით უთმელიძე,ლევან დარახველიძე, გოჩა თევდორაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო მათ დღის წესრიგი.

კენჭი უყარეს წარმოდგენილ დღის წესრიგს.

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი №11-01180792840 (20.03.2018) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

2. ,,განსაზღვრული მიწის ნაკვეთების ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციის, გამიჯვნის და განსაზღვრული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისა და უსასყიდლო უზუფრუქტის შეწყვეტის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 4 აპრილის N 10.46.343 დადგენილების დანართი 4-ით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულების განწილვადების და აღნიშნულის შეუსრულებლობის გამო დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე. (№12-031807474-03)

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა

მოისმინეს: საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი №11-01180792840 (20.03.2018) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

საკითხი **კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.** მან დაწვრილებით განმარტა რაიონული გამგეობების და საქალაქო სამახურების მიერ წარმოდგენილი წერილებით მოთხოვნილ კვარტალურ ცვლილებებზე. კერძოდ:

ა(ა)იპ განვითარების ფონდის მოთხოვნით - 5 995 518 ლარი გადმოდის მეოთხე კვარტლიდან პირველ კვარტალში. ამავე დროს ხდება წლიური გეგმის მუხლობრივი ცვლილება. საბიუჯეტო კლასიფიკაციაში შესული ცვლილებიდან გამომდინარე, 3 615864 ლარი- „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯიდან" გადადის „არაფინანსური აქტივების" მუხლში. ცვლილების მიზეზი- გუდიაშვილის მოედნის და მიმდებარე არეალის სრული სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოებისათვის.

ცვლილების დაბალანსება ხდება შემოსავლების ნაწილიში- სპეციალური ტრანსფერით: მეოთხე კვარტლიდან 5 995 518 ლარი გადმოდის პირველ კვარტალში.

პროგრამაში „ **სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა"**- პირველი კვარტლის გეგმა იზრდება სუბსიდიის მუხლში- 2 400 000 ლარით. თანხის გადმოტანა ხდება მეოთხე კვარტლიდან. ცვლილების მიზეზია დაგეგმილთან შედარებით მეტი აღსაზღდელი დარეგისტრირება. გარდა ამისა ზამთრის პერიოდში თბილი ამინდების გამო მნიშვნელოვნად გაიზარდა აღსაზღდელთა სწრებადობა, რამაც გამოიწვია თანხის დეფიციტი.

დაბალანსება ხდება- ამავე პროგრამის არაფინანსური აქტივების მუხლში მეოთხე კვარტლიდან 1400000 ლარის პირველ კვარტალში გადმოტანით. გაიოზ თალაკვაძის თქმით, აღნიშნული მუხლში არსებული ეკონომია, რაც გათვალისწინებული იყო ბაღების მშენებლობებისთვის, გამოყენებული იქნება მომდევნო კვარტლებში, მშენებლობების დასრულების შემდგომ.

დაბალანსება ხდება ასევე „სატრაანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობის" პროგრამით- 300 000 ლარის გადატანა ხდება პირველდან მეოთხე კვარტალში. აღნიშნულ პროგრამაში მოსალოდნელია ეკონომია ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის საკონსულტაციო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების პროცედურების გახანგრძლივების გამო. გარდა ამისა დასაბალანსებლად გამოყენებულია სამგორის რაიონში გზების მოვლა-შეკეთების პროგრამაში პირველ კვარტალში არსებული ეკონომია. პროგრამაში 701 800 ლარის გადატანა ხდება მეოთხე კვარტალში.

ნაძალადევის რაიონის მოთხოვნით

გზების მოვლა-შეკეთების პროგრამაში არაფინანსური აქტივების მუხლში ემატება 35 000 ლარი ამავე პროგრამის სხვა მუხლებიდან. ცვლილების მიზეზია გვაზაურის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების დასაფინანსებლად თანხების უკმარისობა.

კეთლმოწყობის პროგრამაში- 260 480 ლარი ემატება არაფინანსური აქტივების მუხლს ამავე პროგრამის სხვა მუხლების ეკონომიების ხარჯზე. (შესრულებული საყრდენი კედლების მშენებლობის და სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოების დასაფინანსებლად.

ბალანსდება ამავე პროგრამის სხვადსხვა მუხლებში არსებული ეკონომიებით;

ასევე დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა პროგრამაში არსებული ეკონომიით - 31 870 ლარი გადადის მომდევნო კვარტლებში (ბენეფიციართა გეგმიური გადამოწმების გამო ზოგ შემთხვევებში მოხდა ქირის შეწყვეტა, ასევე ამ ეტაპზე ვერ განხორციელდა ავარიული კორპუსებიდან ოჯახების გაყვანა, რამაც წარმოქმნა ეკონომია)

სხვა სოციალური დახმარებების პროგრამაში არსებული ეკონომიით - 60400 ლარი გადადის პირველიდან მესამე კვარტალში (სოცილური დახმარების წესში შეტანილი ცვლილებიდან გამომდინარე საგარანტიო წერილის მოქმედების პერიოდის განსაზღვრის შედეგად გაიზარდა შესრულებული სამუშაოს წარმოდგენის ვადები და გადარიცხვებიც მოხდება მომდევნო კვარტლებში)

ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამაში - პირველ კვარტალში ემატება 9 210 ლარი, ხოლო მესამე კვარტალში 5000 ლარი უკვე ჩატარებული ღონისძიებების დასაფინანსებლად. გარდა ამისა დაგეგმილია მესამე კვარტალში პირველ კლასელთა სკოლის დაწყების აღსანიშნავად კულტურულ-გასართობი ღონისძიება.

კრწანისის რაიონის „კეთილმოწყობის ღონისძიებების პროგრამაში“ - ხდება მუხლობრივი ცვლილება. საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების დასაფინანსებლად, არაფინანსურ აქტივებიდან 30 000 ლარის გადატანა ხდება ხვადასხვა მიმდინარე ხარჯების მუხლში და „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯებიდან“ 8100 ლარის გადატანა ხდება „საქონელი და მომსახურების“ მუხლში.

კომისიის წევრებმა ყურადღება გაამახვილეს სამგორის რაიონის „გზების მოვლა-შეკეთების„ პროგრამაში წარმოდგენილ კვარტალურ ცვლილებაზე.

შეკითხვები ქონდათ: ირაკლი ზარქუას, დავით უთმელიძეს, გოჩა თევდორაძეს.

მათი აზრით, პროგრამაში არსებული რესურსის მეოთხე კვარტალში გადატანა რისკის შემცვლელია, ვინაიდან ზამთრის პერიოდში უამინდობამ შეიძლება გამოიწვიოს სამუშაოების შეფერხება და აღნიშნეს, რომ კარგი იქნებოდა კომისიის სხდომაზე მოგვეწვია რაიონის გამგებელი და მას განემარტა თუ რამ გამოიწვია ამ პროგრამაში თანხების აუთვისებლობა. თუმცა გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ გამგეობის განმარტებით გზების შეკეთებაზე გამოცხადებული ტენდერები ჩავარდა, რაც გახდა მიზეზი თანხების აუთვისებლობის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახური, რაიონის გამგეობები და ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი ითხოვს თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში მათზე მიკუთვნებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალურ გადანაწილებებს და აღნიშნული

კვარტალური გადანაწილებების დაბალანსება ხდება ცალკეულ პროგრამებში და ქვეპროგრამებში არსებული რესურსების ხარჯზე და შემოსავლების ნაწილში სპეციალური ტრანსფერით, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის , მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილის დანართის შესაბამისად ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.**

მოისმინეს: ,,განსაზღვრული მიწის ნაკვეთების ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციის, გამიჯვნის და განსაზღვრული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისა და უსასყიდლო უზუფრუქტის შეწყვეტის შესახებ'' ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 4 აპრილის N 10.46.343 დადგენილების დანართი 4-ით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულების განწილვადების და აღნიშნულის შეუსრულებლობის გამო დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე.

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა თამარ მათიაშვილმა.

მისი განმარტებით, 2012 წელს შპს „გრატო მენეჯერს" და შპს „სანს" პირდაპირი აღნაგობის უფლებით 48 წლის ვადით გადაეცათ ვერის პარკში მდებარე 1183 და 32 კვმ მიწის ნაკვეთი საფეხბურთო მოედნის მოწყობის , მოედნის მიმდებარედ ტრიბუნის და სამსართულიანი შენობის განთავსების მიზნით აღნაგობის პირობებით. აღნაგობის პირობად განისაზღვრაი ის რომ, კომპანიებს ვალდებულება უნდა შეესრულებინა 9 თვის ვადაში და შპს „თბილისის ჩოგბურთისთვის" უსასყიდლო უზურფრუქტით გადაცემულ უძრავ ქონებაზე უნდა მოეხდინათ 3 ჩოგბურთის მოედნის განახლება და ჩოგბურთის და ფეხბურთის მოედნების ხელოვნული საფარით დაფარვა. აღნაგობის უფლების ყოველწლიური ღირებულება შეადგენდა 37 665 ლარს , რომლის გადახდა უნდა გაეხორციელებინათ ყოველ 6 თვეში ერთხელ. კომპანიებმა შეასრულეს ვალდებულების ნაწილი 3 ჩოგბურთის მოედნის განახლება და ხელოვნური საფარით დაფარვა 2012 წლის ბოლოს. 2013 წლის 19 აპრილს ბრძანების ერთერთ პუნქტში შევიდა ცვლილება და ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულების ვადად განესაზღვრა 2013 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი. 2013 წლის 30 სექტემბერს მთავრობის განკარგულებით შპს „გრატო მენეჯერმა" და შპს „სანიმ" ტერიტორია აღნაგობის უფლებებით გადასცეს შპს „ხულიგანას" და პირიქით შპს „ხულიგანამ" მათ გადასცა კოსტავას #41-ში მდებარე 645 კვმ მიწის ნაკვეთზე აღნაგობის უფლება. 2015 წლიდან კომპანიას არ გადაუხდია აღნაგობის უფლება, თუმცა ვალდებულებები შეასრულა. კომპანიამ მოითხოვა აღანაგობის ვალდებულების გადაუხდელობის გამო პატიება, რაც არ იქნა განხილული. ხოლო ამჟამად მან წარმოადგინა გეგმა გრაფიკი 2015 წლის 28 აპრილიდან 2017 წლის 28 ოქტომბრამდე აღანაგობის უფლების გადაუხდელი თანხისა და მასზე დაკისრებული პირგასამტხელოს გადახდის გეგმა გრაფიკი.

აზრი გამოთქვეს: დავით უთმელიძემ, ირაკლი ზარქუამ, ლევან დარახველიძემ, გოჩა თევდორაძემ.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ყველა წევრმა დადებითად შეაფასა და გადაწყვიტეს: ,,განსაზღვრული მიწის ნაკვეთების ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციის, გამიჯვნის და განსაზღვრული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისა და უსასყიდლო უზუფრუქტის შეწყვეტის შესახებ'' ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 4 აპრილის N 10.46.343 დადგენილების დანართი 4-ით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულების განწილვადების და აღნიშნულის შეუსრულებლობის გამო დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა